

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

**წესდება**

**მუხლი 1**

**ზოგადი დებულებები**

- 1.1. საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია (შემდგომში-საზოგადოება) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
- 1.2. სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.
- 1.3. საზოგადოების სახელწოდება: საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია ან შემოკლებით სკფ.
- 1.4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
- 1.5. იურიდიული მისამართი: თბილისი, პეკინის გამზირი #39
- 1.6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საკუთარი წევრების, აგრეთვე თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.
- 1.7. 1997 წლის 06 აგვისტოს ქ. ვენაში ავსტრიული ქენელ კლუბის ოფისში საერთაშორისო კინოლოგიურ ფედერაციასთან (FEDERATION KINOLOGIQUE INTERNATIONALE F.R.I.) პარტნიორობის შესახებ დადებული ხელშეკრულების თანახმად საქართველოს კინოლოგიურ ფედერაციას აქვს საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის სახელშეკრულებო პარტნიორის სტატუსი და საერთაშორისო (ინტერნაციონალური გამოფენების მოწყობის, საერთაშორისო პრეფიქსებისა და ძაღლსაშენების რეგისტრაციის, უმაღლესი ეროვნული ტიტულის - საქართველოს ჩემპიონის (ჩემპიონ ოფ გეორგია) -მინიჭების ექსკლუზიური უფლება საქართველოში.

**მუხლი 2**

## მიზნები

- 2.1. საზოგადოების მიზანია საქართველოში აამაღლოს ჯიშინი ძაღლების მოშენების პროცესი, რომელთა ჯანმრთელობა და ფიზიკური მონაცემები პასუხობს საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის (FBI) აღიარებულ ჯიშის სტანდარტის მოთხოვნებს და აძლევს ძაღლს მუშაობისა თუ ჯიშისთვის დამახასიათებელი სხვა ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას.
- 2.2. საზოგადოება მოწოდებულია დაიცვას ძაღლის სწორი შენახვა-მოშენების წესები საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის რეგულაციებსა და რეკომენდაციებთან სრული შესაბამისობით. ხელი შეუწყოს კინოლოგიური ინფორმაციის გაცვლას მის წევრებს შორის.
- 2.3. საზოგადოების მიზანია ინიცირება გაუწიოს ჯიშინი ძაღლების ეროვნული და საერთაშორისო გამოფენების ჩატარებას (CAKB, BAKI), მომუშავე და მონადირე ძაღლების საველე გამოცდებისა და შეჯიბრებების მოწყობას, ასევე სხვა კინოლოგიური სპორტული და გასართობი ღონისძიებების მოწყობას საზოგადოების წესებისა და საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის (FBI) რეგულაციების დაცვით.
- 2.4. საზოგადოება მოწოდებულია მხარი დაუჭიროს და ხელი შეუწყოს ყველა პირსა თუ ორგანიზაციას, რომლებიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საქართველოს ეროვნული კინოლოგიის განვითარებაში ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის წესდებსა და რეგულაციებს, და ასევე საერთაშორისო კინოლოგიური ფედერაციის (FBI) წესდებსა და შინაგანაწესს.
- 2.5. თავისი მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საზოგადოება ქმნის სპეციალურ წესებსა და დებულებებს:
  - 2.5.1. არასამეწარმეო (არაკომერციული იურიდიული პირი) უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.
  - 2.5.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

- 2.5.3. საზოგადოება აწარმოებს საერთო საგვარეულო და სანაშენე წიგნებს და გასცემს მფლობელზე შინაგან (ქართული ენა) და საექსპორტო (ინგლისური ენა) საგვარეულო ნუსხებს.
- 2.6. საზოგადოება კინოლოგიური კურსების მეშვეობით ამზადებს ეროვნული და საერთაშორისო სტატუსის მქონე მსაჯებსა და კინოლოგებს. კურსის წარმატებული დასრულების და გამოცდის ჩაბარების შემდეგ ლიცენზირებას უწევს კურსდამთავრებულთ ფედერაციის სისტემაში სამუშაოდ.
- 2.7. აწვობს ექსტერიერულ ეროვნულ და საერთაშორისო რანგის გამოფენებს ჯიშიანი ძაღლებისათვის. მსაჯ-ექსპერტთა მეშვეობით აფასებს და ანიჭებს ტუტულებს ექსპონირებულ ძაღლებს და გასცემს მიღებულ შეფასებებს, ტიტულის დამადასტურებელ დიპლომებსა და სერთიფიკატებს.
- 2.8. საზოგადოება აწარმოებს ცენტრალიზებულად ძაღლების გეშვასა და წვრთნას. სათანადო შეჯიბრებებისა და გამოცდების მოწყობას, საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების მიერ გაცემული შეფასებების დამადასტურებელი დიპლომებისა და სერთიფიკატების გაცემას.
- 2.9. საზოგადოება ქმნის სპეციალურ დარგობრივ კომისიებს და მათი მეშვეობით აკონტროლებს თავისი წევრების კინოლოგიურ მუშაობას, აძლევს მათ სამუშაო მიმართულებებს.
- 2.10. ჯიშიანი ძაღლების გენოფონდის შენარჩუნების მიზნით, საზოგადოებას შეუძლია ითანამშრომლოს ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებებთან. ასევე მეთვალყურეობის მიზნით კონტროლს უწევს საქართველოს ტერიტორიიდან სანაშენე ეგზემპლიარების გასვლა-შემოსვლას.
- 2.11. საზოგადოება ქმნის მის მიერ ლიცენზირებული ეროვნული და საერთაშორისო მსაჯების-ექსპერტების საერთო სიას, საკვალიფიკაციო კომისიისა და საზოგადოების წესებსა და რეგულაციებზე დაყრდნობით და ავრცელებს მათ შესახებ ინფორმაციას.

### **მუხლი 3**

#### **საზოგადოების დამფუძნებლები**

- 3.1 საზოგადოების დამფუძნებლები არიან
- ა. საქართველოს ჯიშიანი ძაღლების მოყვარულთა გაერთიანებული ქენელ კლუბი;
  - ბ. მონადირე ძაღლების მოყვარულთა კლუბი;
  - გ. იშვიათი ჯიშის ძაღლების მოყვარულთა კლუბი;

დ. ლუდმილა ბაციკაძე;

ე. იუზა ბერაძე

## მუხლი 4

### საზოგადოების მართვა / გენერალური ასამბლეა

- 4.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს გენერალური ასამბლეა, რომელსაც იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ კალენდარული წლის ბოლო კვარტალში, ან წელიწადში რამდენიმეჯერ როცა ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს. გენერალური ასამბლეა ქმედუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა 2/3. იმ შემთხვევაში თუ კრება აღმოჩნდება უფლებაუუნარო, მაშინ იგი განმეორებით მოიწვევა 7 (შვიდი) დღის შემდეგ იგივე დღის წესრიგითა და იგივე წესით. განმეორებითი ასამბლეა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარი მაინც. ყველა წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით.
- 4.2. გენერალური ასამბლეის ჩატარების თარიღისა და ადგილის შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით, სოციალური ქსელების ან ტელეფონის საშუალებით ასამბლეის ჩატარებამდე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე. ინფორმაცია ამის შესახებ უნდა განთავსდეს ორგანიზაციის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე.
- 4.3. გენერალური ასამბლეა გადაწყვეტილებაუნარიანია მხოლოდ ქვორუმის არსებობის შემთხვევაში. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილება ძალაში შედის მიღებისთანავე, თუ არ არის მითითებული გადაწყვეტილების ძალაში შესვლის კონკრეტული თარიღი. გენერალურ ასამბლეაზე განსახილველი საკითხების შესახებ საზოგადოების გამგეობას უნდა ეცნობოს ასამბლეამდე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე.
- 4.4. გენერალური ასამბლეის მუშაობას ხელმძღვანელობს ასამბლეის მდივანი, რომელსაც საკუთარი შემადგენლობიდან ირჩევს გენერალური ასამბლეა ხმათა უმრავლესობით.
- 4.5. საზოგადოების წევრთა საერთო კრების უფლებამოსილებებია:
  - 4.5.1. საზოგადოების საქმიანობის განსაზღვრა.
  - 4.5.2. საზოგადოების გამგეობისა და კომისიის თავმჯდომარეების მოხსენებების მოსმენა და საქმიანობის დამტკიცება, საწევრო გადასახადისა და საზოგადოების სხვადასხვა მომსახურებების (საგვარეულო ნუსხები, გამოფენაში მონაწილეობის საფასური, და ა.შ.) ღირებულების დადგენა, მომდევნო წლის ბიუჯეტისა და სამუშაო გეგმის დამტკიცება, განვლილი წლის ფინანსური ანგარიშის მოსმენა.

- 4.5.3. გამგეობის მიერ წევრთა მიღება-გარიცხვის საკითხის გადაწყვეტილების მიღება.
- 4.5.4. საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოს - გამგეობის -არჩევა.
- 4.5.5. საზოგადოების მიზნების განხორციელების უზრუნველსაყოფად თემატური კომისიების შექმნა და კომისიის თავმჯდომარეების არჩევა.
- 4.5.6. საზოგადოების წესდებებსა თუ ძირითად დებულებებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.
- 4.5.7. საზოგადოების ქონების მიმართ გადაწყვეტილების მიღება.
- 4.5.8. საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხის გადაწყვეტა;
- 4.6. საზოგადოებაში მოქმედებს 5 (ხუთი) მუდმივმოქმედი კომისია:
- ა. საგამოფენო კომისია
  - ბ. საკვალიფიკაციო კომისია
  - გ. სანაშენე კომისია
  - დ. სამუშაო / სპორტული კომისია
  - ე. სარევიზიო კომისია
- კომისიების რაოდენობა და სპეციალიზაცია ექვემდებარება გადახედვას საზოგადოების წევრთა მოთხოვნით და შეიძლება შეიცვალოს, რეორგანიზებული იქნეს გენერალური ასამბლეის მიერ. თვითოეული კომისია შედგება სამი წევრისგან. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს გენერალური ასამბლეა წევრთა შემადგენლობიდან, საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება და შესაძლებლობა იყოს არჩეული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე. კომისიის დანარჩენ ორ წევრს ირჩევს გენერალური ასამბლეა კომისიის თავმჯდომარის რეკომენდაციით. კომისიის წევრების არჩევა ხდება 4 (ოთხი) წლის ვადით. გენერალურმა ასამბლეამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება მათი ხელახალი არჩევისა ან დათხოვნის შესახებ მათ მიერ მოვალეობის შესრულების ხარისხის შესაბამისად.
- 4.7. გენერალურ ასამბლეებს შორის პერიოდში საზოგადოების უმაღლესი მმართველი ორგანოა გამგეობა, რომელიც ხუთი წევრისგან შედგება და ახორციელებს საზოგადოების მართვას.
- 4.8. გამგეობის არჩევა ხდება გენერალური ასამბლეის მიერ 4 (ოთხი) წლის ვადით როტაციული სისტემით. ახალი გამგეობის წევრების არჩევა უნდა მოხდეს არსებული გამგეობის წევრის უფლებამოსილების ამოწურვამდე 1 (ერთი) კალენდარული თვით ადრე.
- 4.9. გენერალური ასამბლეა შეიძლება მოწვეული იქნეს საზოგადოების პრეზიდენტის, გამგეობის ან საზოგადოების წევრთა ერთი მეოთხედის მოთხოვნით.

- 4.10. საზოგადოების წესდებასა და დებულებებში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია წევრთა გადაწყვეტილებით გენერალურ ასამბლეაზე.
- 4.11. საზოგადოების ბიუჯეტს განაგებს გამგეობა საზოგადოების მიზნებისა და საქმიანობის შესაბამისად. ყველა შემოსავალი და ხარჯი დეტალურად უნდა იქნას დაფიქსირებული და დროულად უნდა წარედგინოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ანგარიშგებისა და რეგისტრაციის მიზნით. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება და შესაძლებლობა მიიღოს ინფორმაცია საზოგადოების ფინანსური საქმიანობის შესახებ.

## მუხლი 5

### წევრობის შეჩერება და სანქციები

- 5.1. გამგეობის წევრები, საზოგადოების წევრები ან მსაჯ-ექსპერტები, რომლებიც წერილობით გაფრთხილების მიუხედავად, არ ასრულებენ ნაკისრ მოვალეობას ან/და არღვევენ საზოგადოების წესდებას ექვემდებარებიან დისციპლინარულ სანქციებს, მათ შორის გარიცხვას. საზოგადოების პრეზიდენტს ან გამგეობას შეუძლია მიმართოს გენერალურ ასამბლეას წევრის დისციპლინარული დასჯის ან/და გარიცხვის მოთხოვნით. მსგავს მოთხოვნას თან უნდა ახლდეს მკაფიო არგუმენტები და დასაბუთება. გადაწყვეტილება დისციპლინარული სასჯელისა ან/და გარიცხვის შესახებ შეიძლება მიღებული იქნას მხოლოდ გეგმიური ან რიგგარეშე გენერალურ ასამბლეაზე, რასაც წინ უნდა უძღვოდეს საკითხის არსებითი განხილვა საზოგადოების წევრების მიერ. აპლიკანტს ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს საპასუხო არგუმენტირებული წერილი საკუთარი პოზიციის დასაცავად. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრებული იქნეს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- 5.2. საზოგადოების წევრი, რომელიც არ იხდის საწევრო გადასახადს ექვემდებარება გარიცხვას, წესდების 5.1. პუნქტის შესაბამისად.
- 5.3. გარიცხულ წევრს უფლება აქვს გაასაჩივროს მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 5.4. თუ საზოგადოების წევრი უხეშად ან/და რეგულარულად არღვევს ნაკისრ ვალდებულებებს (ფინანსურ ვალდებულებებს ან/და არ ემორჩილება საზოგადოების წესდებასა და რეგულაციებს) გამგეობას უფლება აქვს დროებით შეუჩეროს ან შეუზღუდოს მას წევრობა. გადაწყვეტილება ძალაში რჩება გამგეობის მიერ საპირისპირო გადაწყვეტილების მიღებამდე, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო გენერალური ასამბლესი ჩატარების თარიღისა. გამგეობა გენერალურ ასამბლესს წარუდგენს არგუმენტაციას გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, აღნიშნული წერილი ეგზავნება აპლიკანტს და მას ეძლევა შესაძლებლობა წარმოადგინოს საპასუხო არგუმენტირებული წერილი საკუთარი პოზიციის

დასაცავად. საბოლოო გადაწყვეტილებას წევრის სტატუსის შესახებ იღებს გენერალური ასამბლეა. წევრს უფლება აქვს დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია და გაიმართლოს თავი გენერალური ასამბლეის წინაშე. გამგეობა ვალდებულია მიაწოდოს ინფორმაცია წევრის სტატუსის შესახებ ყველა წევრსა და კონტრაქტ პარტნიორს გადაწყვეტილების მიღებისთანავე. წევრს არ აქვს უფლება მოითხოვოს ფინანსური კომპენსაცია ამ მუხლის პუნქტებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებისთვის.

## **მუხლი 6**

### **ხმის მიცემა და არჩევნები**

- 6.1. საზოგადოების პრეზიდენტი, გამგეობის წევრების, კომისიის თავმჯდომარეებისა და კომისიის წევრების არჩევა ხდება მხოლოდ საზოგადოების გენერალურ ასამბლეაზე.
- 6.2. საზოგადოების გენერალური მდივანი ინიშნება საზოგადოების პრეზიდენტის მიერ.
- 6.3. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება და შესაძლებლობა მიავლინოს თავისი ნდობით აღჭურვილი პირი გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად, კენჭისყრასა და განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც ექნება ერთი ხმის უფლება.
- 6.4. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება მიავლინოს მაქსიმუმ 3(სამი) ადამიანი საზოგადოების გენერალურ ასამბლეაზე დასასწრებად, მაგრამ სუბიექტი კვლავ ისარგებლებს მხოლოდ 1 (ერთი) ხმის უფლებით.
- 6.5. თუ საზოგადოების წევრი საპატიო მიზეზის გამო ვერ ესწრება გენერალურ ასამბლეას, მას აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს განხილვებსა და კენჭისყრაში წერილობითი ფორმით ან თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებით (მაგ. სკაიპით), გენერალურ ასამბლეაში ამ ფორმით მონაწილეობა გათანაბრებულია ასამბლეაზე დასწრებასთან. ამ პროცედურის დარეგულირება მოხდება გენერალური ასამბლეის მიერ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე.
- 6.6. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება წარადგინოს თავისი კანდიდატი გამგეობის წევრის ან კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე.
- 6.7. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება და შესაძლებლობა იქნეს არჩეული. არც ერთ წევრს არ შეიძლება ჩამოერთვას უფლება უარი იყოს არჩეული.
- 6.8. გენერალური ასამბლეის ყველა სხდომა უნდა იყოს შესაბამისად დოკუმენტირებული. სხდომის ოქმი დროულად უნდა იქნეს წარდგენილი შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში, მათი რეგისტრაციისათვის. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების გენერალური ასამბლეის ოქმიდან.

- 6.9. საზოგადოების პირველი გამგეობა არჩეული იქნა საზოგადოების დამფუძნებლების მიერ, ყოველი შემდგომი გამგეობა უნდა იქნეს არჩეული გენერალური ასამბლეის მიერ.
- 6.10. საზოგადოებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ არჩევნები და ხმის მიცემის (ღია ან ფარული), პროცედურა იყოს გამჭვირვალე და ეფუძნებოდეს დემოკრატიისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპებს.

## **მუხლი 7**

### **საზოგადოების პრეზიდენტი**

- 7.1. საზოგადოების პრეზიდენტს ირჩევს გამგეობა თავისი შემადგენლობიდან 4 (ოთხი) წლის ვადით.
- 7.2. პრეზიდენტი წარმართავს საზოგადოების ყოველდღიურ საქმიანობას წესდების თანახმად და საზოგადოების მიზნებიდან გამომდინარე.
- 7.3. პრეზიდენტი წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის საზღვრებს გარეთ.
- 7.4. პრეზიდენტი ხელმძღვანელობს საზოგადოების საქმიანობას. განსაზღვრავს საზოგადოების საშტატო ერთეულსა და ანაზღაურების საკითხს. გამგეობასთან შეთანხმებით იღებს გადაწყვეტილებებს საკადრო საკითხებზე.
- 7.5. საზოგადოების ქონების და ბიუჯეტის განკარგვის საკითხებზე პრეზიდენტი გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის თანხმობით. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პრეზიდენტს დაუყოვნებლის უწევს გადაწყვეტილების მიღება ფინანსურ საკითხთან დაკავშირებით და ვერ ხერხდება გამგეობის წევრებთან დაკავშირება, პრეზიდენტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ერთპიროვნულად, თუმცა პირველივე გამგეობის კრებაზე უნდა განმარტოს და დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და მიიღოს თანხმობა გამგეობის წევრებისგან.
- 7.6. პრეზიდენტი უფლებამოსილია ითანამშრომლოს ბანკებთან და მისი არყოფნის ან/და საჭიროების შემთხვევაში გასცეს მინდობილობა გამგეობის რომელიმე წევრზე ან მესამე პირზე.
- 7.7. პრეზიდენტი უზრუნველყოფს საზოგადოების საერთო კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, საჭიროების შემთხვევაში კი უფლებამოსილია შექმნას დამხმარე ჯგუფები კონკრეტული საკითხის გადასაწყვეტად ან მიზნების მისაღწევად.
- 7.8. პრეზიდენტის არყოფნის დროს მის უფლებამოსილებას ახორციელებს პრეზიდენტის მინდობილი პირი.



- 7.9. პრეზიდენტი ითვალისწინებს საზოგადოების წევრებისა და გამგეობის წევრების მოსაზრებებს საზოგადოების ფუნქციონირების და განვითარების შესახებ, უზრუნველყოფს მათი წინადადებების და მოსაზრებების მოხვედრას საზოგადოების გენერალური ასამბლეის განსახილველ საკითხთა სიაში, ხოლო თუ საკითხის გადაწყვეტა არ საჭიროებს გენერალური ასამბლეის თანხმობას, უზრუნველყოფს საკითხების დროულ მოგვარებას.
- 7.10. პრეზიდენტს უფლება აქვს მოიწვიოს რიგგარეშე გენერალური ასამბლეა ან გამგეობის კრება, რათა დროულად მოხდეს საკითხების გადაწყვეტა ან პრობლემის მოგვარება, რომელიც მნიშვნელოვნად ვნებს საზოგადოების ინტერესებს ან აფერხებს მის საქმიანობას, ასევე ამ წესდების მე-5 მუხლით გათვალისწინებული საკითხების გადასაწყვეტად.
- 7.11. საზოგადოების პრეზიდენტის და გამგეობის წევრების შრომა არის ანაზღაურების გარეშე და ეფუძნება ვოლუნტარიზმის პრინციპს.

## **მუხლი 8**

### **საზოგადოების წევრთა უფლებები და მოვალეობები**

საზოგადოებას ჰყავს 2 (ორი) ტიპის წევრი: სრულუფლებიანი წევრი და ასოცირებული წევრი.

8.1. საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი:

8.1.1. საქართველოს ტერიტორიაზე ლეგალურად არსებულ ნებისმიერი კინოლოგიურ ორგანიზაციას (კინოლოგიური კლუბი), რომელიც აკმაყოფილებს რეგისტრირებული ძაღლების მინიმალურ რაოდენობას, რომელიც აღიარებს საზოგადოების წესდებას და წერილობითი განცხადებით მიმართავს საზოგადოების გამგეობას აქვს უფლება გახდეს საზოგადოების წევრი. სრულუფლებიანი წევრის სტატუსის მიღებამდე მას მიენიჭება საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის კონტრაქტ პარტნიორის სტატუსი. კონტრაქტ პარტნიორად მიღებულ იურიდიულ პირს განესაზღვრება საგამოცდო ვადა 3 (სამი) წლის ვადით. საგამოცდო ვადის ამოწურვამდე სუბიექტი ინარჩუნებს კონტრაქტ პარტნიორის სტატუსს და არ გააჩნია საზოგადოებაში ხმის უფლება. საგამოცდო პერიოდის მანძილზე კონტრაქტ პარტნიორმა უნდა აჩვენოს მზადყოფნა გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, უნდა აღიარებდეს და ემორჩილებოდეს საზოგადოების წესდებას, რეგულარულად იხდიდეს საწევრო გადასახადს, წვლილი შექონდეს საქართველოში კინოლოგიის განვითარებაში, ეხმარებოდეს საზოგადოებას ღონისძიებების მოწყობაში და ესწრებოდეს მათ, წელიწადში ერთხელ მაინც ატარებდეს საკუთარ კლუბის გამოფენას და ეხმარებოდეს საზოგადოებას სხვა მნიშვნელოვან საკითხებში. წევრი აქტიურად მონაწილეობს საზოგადოების საქმიანობაში, ესწრება წევრთა

საერთო კრებას- ხმის მიცემის უფლების გარეშე. საგამოცდო ვადის წარმატებით დასრულების შემდეგ, საზოგადოების გამგეობა რეკომენდაციას უწევს გენერალურ ასამბლეას დაამტკიცოს სუბიექტი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად. ყველა გადაწყვეტილება წევრად მიღების შესახებ მიიღება გენერალური ასამბლეის მიერ.

8.1.2. საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწე ფიზიკურ პირს, რომელიც სერტიფიცირებულია საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის მიერ და რეგისტრირებულია საერთაშორისო კინოლოგოგიური ფედერაციის (FBI) მიერ მსაჯთა რეგისტრში (მსაჯი-ექსპერტი), რომელიც აღიარებს საზოგადოების წესდებას და წერილობითი განცხადებით მიმართავს საზოგადოების გამგეობას, აქვს უფლება გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ. განცხადების მიღების შემდეგ გამგეობა ამოწმებს კანდიდატის ანკეტის აუთენტურობას, რამდენად აკმაყოფილებს აპლიკანტი საზოგადოების წესდების დებულებებსა და მოთხოვნებს. შემოწმების პროცედურის შემდეგ გამგეობა ადგენს არგუმენტირებულ წერილს, რომლითაც რეკომენდაციას უწევს ან არ უწევს კანდიდატს საზოგადოების სრულუფლებიან წევრობაზე. კანდიდატის სრული საქმე (განცხადება თანდართული დოკუმენტებით, გამგეობის არგუმენტირებული წერილი) ეგზავნება გენერალური ასამბლეის ყველა წევრს წერილობით (ფოსტისა ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით). გენერალური ასამბლეის ყველა წევრი საკუთარ გადაწყვეტილებას კანდიდატის მიღება-არმიღების საკითხზე წერილობით (ფოსტის ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით) უგზავნის გამგეობას. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს კანდიდატის განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვისა.

8.1.3. საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწე ფიზიკური პირს, რომელიც სერტიფიცირებულია საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის მიერ, როგორც მომშენებელი და რეგისტრირებულია საერთაშორისო კინოლოგოგიური ფედერაციის (FBI) მიერ საშენთა/მომშენებელთა საერთაშორისო რეესტრში, რომელსაც აქვს საქმიანობის 2 (ორი) წლიანი გამოცდილება, რეგულარული ნამატი (ნაყარი), შესაბამისი განათლება (თუ ამგვარ განათლებას სთავაზობს საქართველოს კინოლოგიური ფედერაცია (სკფ)), რომელიც აღიარებს საზოგადოების წესდებას და წერილობითი განცხადებით მიმართავს საზოგადოების გამგეობას უფლება აქვს გახდეს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, წესდებით დადგენილი პროცედურების გავლის შემდგომ. განცხადების მიღების შემდეგ გამგეობა ამოწმებს კანდიდატის ანკეტის აუთენტურობას, რამდენად აკმაყოფილებს აპლიკანტი საზოგადოების წესდების დებულებებსა და მოთხოვნებს. შემოწმების პროცედურის შემდეგ გამგეობა ადგენს არგუმენტირებულ წერილს, რომლითაც რეკომენდაციას უწევს ან არ უწევს კანდიდატს საზოგადოების სრულუფლებიან წევრობაზე. აღნიშნული

წერილი და კანდიდატის სრული საქმე (განცხადება თანდართული მასალებით, გამგეობის არგუმენტირებული წერილი) ეგზავნება გენერალური ასამბლეის ყველა წევრს წერილობით (ფოსტისა ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით). გენერალური ასამბლეის ყველა წევრი საკუთარ გადაწყვეტილებას კანდიდატის მიღება-არმიღების საკითხზე წერილობით (ფოსტის ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებებით) უგზავნის გამგეობას. გადაწყვეტილების მიღება ხდება ხმათა უმრავლესობით. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს კანდიდატის განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) კალენდარული თვისა.

## 8.2. საზოგადოების ასოცირებული წევრი:

- 8.2.1. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ფიზიკური პირი, რომელსაც არ გააჩნია კინოლოგიური განათლება, მაგრამ აქვს სურვილი გახდეს საზოგადოების წევრი. რომელიც აღიარებს საზოგადოების წესდებას და წერილობითი განცხადებით მიმართავს საზოგადოების გამგეობას უფლება აქვს გახდეს საზოგადოების ასოცირებული წევრი. მას მიენიჭება საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის ასოცირებული წევრის სტატუსი და გადაეცემა სათანადო სერთიფიკატი. საზოგადოების ასოცირებული წევრს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების საქმიანობაში, დაესწროს გენერალურ ასამბლეას - ინიციატივის დაყენებისა და ხმის უფლების გარეშე.
- 8.3. ვერც ერთი ორგანიზაცია ან ფიზიკური პირი, რომელიც ავნებენ (ვნებენ) საზოგადოების საქმიანობას ან საზოგადოების წევრს ან/და ხელს უშლის საზოგადოებისა და მის წევრთა საქმიანობას, ვერ გახდება საზოგადოების წევრი.
- 8.4. როგორც კი კანდიდატი ან კონტრაქტ პარტნიორი მიიღებს სრულუფლებიანი წევრის სტატუსს, ფიზიკური პირი ან ორგანიზაცია მიიღებს საზოგადოების სრულუფლებიანი წევრობის მოწმობას, რომელიც ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული იქნება საზოგადოების პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის მიერ. წევრს მიენიჭება ხმის უფლება.
- 8.5. ყველა წევრს უფლება აქვს გავიდეს საზოგადოების წევრობიდან ნებისმიერ დროს, რაზეც უნდა მიმართოს საზოგადოების გამგეობას ან პრეზიდენტს განცხადებით. საწევრო შენატანის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია.
- 8.6. საზოგადოების წევრობის გადაცემა სხვა პირსა თუ ორგანიზაციაზე დაუშვებელია. წევრობა არ გადადის მემკვიდრეობით.
- 8.7. საზოგადოების წევრი ვალდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების ცხოვრებაში და მისი მიზნების განხორციელებაში.
- 8.8. საზოგადოების წევრმა პატივი უნდა სცეს გენერალური ასამბლეიას და გამგეობის გადაწყვეტილებებს და დაეხმაროს მათ გადაწყვეტილებების რეალიზებაში.

- 8.9. საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს უფლება და შესაძლებლობა გამოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ.
- 8.10. საზოგადოების წევრი, რომელიც არ იხდის საწევრო გადასახადს დადგენილ ვადებში ან/და არ ასრულებს ან უხეშად არღვევს საქართველოს კინოლოგიური ფედერაციის წესდებსა და დებულებებს ექვემდებარება დისციპლინარულ სანქციებსა და გარიცხვას წესდების მე-5 მუხლის შესაბამისად.

## **მუხლი 9**

### **საზოგადოების სახსრები**

- 9.1. საზოგადოების სახსრებს შეადგენს საწევრო შენატანები, შემოწირულობები, სპონსორთა დახმარება, გრანტებსა და გონაცობებს, სელექციური მუშაობიდან, გამოფენებიდან, მასობრივ-სანახაობრივი ღონისძიებებიდან და სხვა კანონით დაშვებული სამეწარმეო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული შემოსავლები.

## **მუხლი 10**

### **საზოგადოების ლიკვიდაცია / რეორგანიზაცია**

- 10.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
- 10.2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუვნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 381 მუხლის შესაბამისად.
- 10.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გადაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
- 10.4. საზოგადოების გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
- 10.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრები. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
  - ა. გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

ბ. ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

გ. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს.

- 10.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების გადანაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
- 10.7. თუ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებმა/წევრებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორც ლიკვიდირებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობენ ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებული იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გადაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 (ექვსი) თვის შემდეგ.
- 10.8. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

## **მუხლი 11**

### **დასკვნითი დებულებები**

- 11.1. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის/წევრის მიერ ხელმოწერის მომენტიდან ან/და მათი გადაწყვეტილებით ერთ-ერთი წევრის ერთპიროვნული ხელმოწერით.
- 11.2. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა/წევრთა შეთანხმება) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულების ნამდვილობაზე.
- 11.3. ამ წესდებას და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.